

**გაჩვენოს ეროვნული სააგენტოს აჭარის პილარომატოროლოგიური ობსერვატორიის მონაცემები**

დღეს მოსალოდნელია დროგამოშვებით წვიმა ელჭექით, ცვალებადი მიმართულების ქარი - 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და შიდაპოვანი რაიონებში - 23-28, მაღალ მთაში - 15-20 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 24 გრადუსია, ატმოსფერული წნევა - 756 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს დროგამოშვებით წვიმა ელჭექით.

**პირილოსი N 103**

**85 მომხრე, არსებითი - წინააღმდეგი**

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ისრაელის სახელმწიფოს ვიცე-პრემიერსა და იუსტიციის მინისტრ გიდეონ საარს შეხვდა. მხარეებმა ურთიერთთანამშრომლობასა და ისტორიულად მტკიცე ხალხთაშორის კავშირებზე ისაუბრეს. საზი გაეცხა იმ ფაქტს, რომ მიმდინარე წელს საქართველოსა და ისრაელის სახელმწიფოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების 30-ე წლისთავი აღინიშნება. შალვა პაპუაშვილმა ისრაელის სახელმწიფოს წარმატება უსურვა ნოემბერში დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებაში და ახალ მთავრობასა და პარლამენტთან თანამშრომლობის მზაობა გამოხატა.

აჭარის უმაღლესი საბჭოს მიერ ინიცირებული საკანონმდებლო ინიციატივა „მაჭახელას დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის შესახებ“ და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით, 85 ხმით მიიღო. წინააღმდეგი არავინ წასულა. საკანონმდებლო პაკეტი მაჭახელას ხეობის ბიომრავალფეროვნებით, ისტორიული და კულტურული თვალსაზრისით გამორჩეული ტერიტორიების დაცვას, აღდგენასა და გონივრული გამოყენების ხელშეწყობას ითვალისწინებს. საქართველოს პარლამენტმა უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება მიიღო, რაც უახლოეს მომავალში ისტორიული ხეობისა და მისი მცხოვრებლების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე სასიკეთოდ აისახება.



საკანონმდებლო პაკეტი პლენარულ სხდომაზე მისმა ერთ-ერთმა ავტორმა - აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძემ წარადგინა. მცირედი განმარტების შემდეგ, მან საქართველოს პარლამენტის წევრებს, წამყვან კომიტეტსა და აპარატის თანამშრომლებს თანამშრომლობისა და მხარდაჭერისათვის მადლობა გადაუხადა.

დავით გაბაიძესთან ერთად, აჭარის უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო ინიციატივის ავტორები არიან: საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე გლადიმერ მაგლობლიშვილი, აგარაულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ფრიდონ ფუტყარაძე, საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე მარინე გვიანიძე, გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში (UNDP).

ანა ჩხიკვაძე

**მინისტრი სახსრების ენდოპროთეზირების პროგრამის ბენეფიციარებს შეხვდა**

**ნაირა შუტაპარაძე 27 48 93**

აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ნინო ნიჟარაძე და მინისტრის პირველი მოადგილე მარი ზანაქიძე ბათუმის სამედიცინო ცენტრში (BMC), ორთოპედ-ტრავმატოლოგებთან ერთად, იმ მოქალაქეებსა და პაციენტებს შეხვდნენ, რომლებმაც სახსრების ენდოპროთეზირება სამინისტროს დაფინანსებით უკვე ჩაიტარეს ან უახლოეს პერიოდში დაგეგმილი აქვთ.

შეხვედრაზე მინისტრმა პროგრამის მნიშვნელობაზე, მიმდინარეობასა და განხორციელებულ ცვლილებებზე ისაუბრა. მოისმინა პაციენტების შეფასებები და სამედიცინო სფეროს წარმომადგენლების რეკომენდაციები.

„ჩვენ პერმანენტულად ვიკვლევთ სამინისტროს მიმდინარე პროგრამების შესახებ აზრს როგორც ბენეფიციარებთან, ასევე პროგრამის განმახორციელებლებთან, ექიმებთან, რომ ნებისმიერი სამინისტროს სერვისი იყოს მაქსიმალურად მორგებული მოქალაქეთა საჭიროებებზე. დღეს შეხვედრა გვაქვს „სახსრების ენდოპროთეზირების“ პროგრამის ფარგლებში და უპირველესად, მადლობა მინდა გადავუხადო ორთოპედ-ტრავმატოლოგებს, რომელთა იმედი აქვთ პაციენტებს და შესაძლებლობას აძლევენ, ადგილზე ჩაიტარონ ქირურგიული მომსახურება რეგიონიდან გაუსვლელად“, - აღნიშნა ნინო ნიჟარაძემ.

სამინისტრო „სახსრების ენდოპროთეზირების“ პროგრამას 2014 წლიდან ასორციელებს და წლის განმავლობაში, საშუალოდ, 80-დან 100-მდე პაციენტი ფინანსდება. მიმდინარე წელს გა-



იზარდა ზღვრული ტარიფის მოცულობა 7 000 ლარამდე, შესაბამისად, გაიზარდა პროგრამის ბიუჯეტიც და იგი 450 000 ლარს შეადგენს.

54 წლის მკვალა დუმბაძე ოპერაციამდე ეტლ-სავარძლით გადაადგილდებოდა. იგი ამბობს, რომ ბათუმის სამედიცინო ცენტრში ჩაიტარა ოპერაცია და დღეს თავისუფლად შეუძლია გადაადგილება. პაციენტს ქირურგიული მომსახურება სამინისტრომ დაუფინანსა.

შეხვედრაზე, რომელსაც ასევე ესწრებოდნენ

ენ BMC-ის კლინიკური დირექტორი სოსო ჯახია და კლინიკის ტრავმატოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი რაულ პაქსაძე, ისაუბრეს პროგრამის აქტუალობაზე, არსებულ ვითარებაზე, თანამედროვე მიდგომებსა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.

„სახსრების ენდოპროთეზირების“ პროგრამა ფარავს იმ პაციენტთა სამედიცინო მომსახურებას, რომლებიც არ არიან საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ბენეფიციარები.

**ახალი სასწავლო წლის სიხალეობა**

**ურველო სკაომ - ხელოვნების ხანძარი**

**გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!**

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 577 20 43 55.





# ტექნიკა საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის

ნაიბა შუტაბაძე 27 48 93

აჭარის მუნიციპალიტეტებს საგზაო ინფრასტრუქტურისთვის საჭირო 5 ერთეული ახალი ტექნიკა გადაეცა

სპეცტექნიკა გზების გაწმენდ-ოთ სამუშაოებში ჩაერთვება.

აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა ჯაბა ფუტყარაძემ, მუნიციპალიტეტების მერებთან ერთად, საგზაო ინფრასტრუქტურის მიმართულებით დაგეგმილ ღონისძიებებზე ისაუბრა.

აჭარის გზების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა მამუკა თურმანიძემ, მთავრობის წევრებს ზამთრის სეზონისთვის მზადების სამუშაოებზე ინფორმაცია მიაწოდა.



მთავრობის წევრები თოვლისა და მეწყერული პროცესებისთვის სა-

ჭირო ახალი ტექნიკის მუშაობას ადგილზე გაეცნენ.

5 ახალი ტექნიკის შეძენისთვის გზების დეპარტამენტის ბიუჯეტიდან 1 042 530 ლარი დაიხარჯა.

აჭარის მუნიციპალიტეტებში სხვადასხვა ტიპის საგზაო სამუშაოებს, დღეისათვის გზების დეპარტამენტის 80 სპეცტექნიკა ასრულებს.

საგზაო ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის წელს, დამატებით, 5 ახალი ტექნიკის შეძენა დაგეგმილი.

აჭარაში წელს 26 მიმართულებით ასფალტ-ბეტონის საფარი მოეწყობა. რეაბილიტაცია ჩატარდება დაახლოებით 56 კმ სიგრძის საავტომობილო გზას.

## კვირულის ფარგლებში

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

საერთაშორისო კამპანიას - დასუფთავების კვირულის საქართველო წელსაც შეუერთდა. გლობალურ აქციაში 160-მდე სახელმწიფო იღებდა მონაწილეობას. ამ მოძრაობაში შუახევიც ჩაერთა.



თო. მერიის, საკრებულოს, ა(ა)იპების თანამშრომლებმა საზოგადოების წარმომადგენლებმა რიკიხეთის ტერიტორია, ოქრობილაურის ციხის, მერიის ადმინისტრაციული შენობის შემოგარენი დასუფთავეს.

საყოფაცხოვრებო ნარჩენების დასუფთავება ხიჯაურის დასახლების მიმდებარე ტერიტორიები, სოფლის ცენტრები, წარმოება-დაწესებულებების ეზოები, ქუჩები, სკვერები.

დასუფთავების აქციის მიზანი გარემოზე ზრუნვა და მუნიციპალიტეტში სუფთა გარემოს შენარჩუნება იყო.

კამპანიაში „დასუფთავოთ მსოფლიო“ ქედის მუნიციპალიტეტიც ჩაერთა.

აქციაში ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, მუნიციპალიტეტის ორგანიზაციები, ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლები, ადგილობრივი მოსახლეობა და ახალგაზრდები მონაწილეობდნენ.

# ბათუმის მუნიციპალურმა ინსპექციამ სანიტარულ-ჰიგიენური შემოწმება დაიწყო

ნაიბა შუტაბაძე 27 48 93

საჯარო და კერძო სკოლებში სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის გეგმური შემოწმება დაიწყო. ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია საკლასო ოთახებში მაგიდასა და დაფასთან განათების კოეფიციენტის შესაბამისობას აკონტროლებს

პარალელურად მოწმდება სველი წერტილების სანიტარული მდგომარეობა. სადენიფექციო და ჰიგიენური საშუალებები; აგრეთვე სამედიცინო კაბინეტის აღჭურვილობა და კოვიდ-19-ის რეკომენდაციებთან შესაბამისობა.

შემოწმებას სანიტარული ზედამხედველობის განყოფილება მერიასთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში „ლაბორატორიული კვლევის ცენტრის“ თანამშრომლებთან ერთად ახორციელებს.



# მმართველმა გუნდმა „ადმინისტრაციულ სამართალდაცვასთან კოლაქსში“ ცვლილებები მოახდინა

ნაიბა შუტაბაძე 27 48 93

ავტომობილების ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესების განმეორების შემთხვევებზე ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა გამაქცრდება და დამატებითი ჯარიმები დაწესდება

„ადმინისტრაციულ სამართალდაცვასთან კოლაქსში“ ცვლილებები მმართველმა გუნდმა მოამზადა, რომელიც პარლამენტში უკვე ინიცირებულია.

მოქმედი „ადმინისტრაციულ სამართალდაცვასთან კოლაქსის“ მიხედვით, იმ ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლი, რომელსაც პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება არ გაუვლია, 50 ლარის ოდენობით ჯარიმდება. კოლაქსი არ ითვალისწინებს სანქციას აღნიშნული სამართალდაცვლის განმეორებით

ჩადენის შემთხვევაში.

როგორც პროექტის ერთ-ერთი ინიციატორი, პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე მათა ბითაძე განმარტავს, ეს პოტენციური სამართალდამრღვევს საშუალებას აძლევს ტექნიკური ინსპექტირების დადგენილი წესით გავლის ნაცვლად, მხოლოდ ჯარიმის თანხის - 50 ლარის გადახდით შემოიფარგლოს.

საკანონმდებლო ცვლილებების მიხედვით, თუ ტექნიკური ინსპექტირების დადგენილი წესით გავლის ვალდებულების შეუსრულებლობის ან ტექნიკური ინსპექტირება გაუვლელი ავტოსატრანსპორტო საშუალების სხვა პირისთვის სამართავად ან საექსპლუატაციოდ გადა-



ცემის გამო ერთხელ დაჯარიმებული პირი შესაბამისი სახდელის დადებებიდან 30 დღის განმავლობაში განმეორებით ჩაიდენს იმავე ქმედებას:

- ფიზიკური პირი დაჯარიმდება -150 ლარის ოდენობით;
  - იურიდიული პირი/ინდემწარმე დაჯარიმდება 300 ლარით.
- იმავე პრინციპის შესაბამისად,

თუ ზემოთ ხსენებული სამართალდარღვევა ისევ განმეორდა აღნიშნული გამოიწვევს:

- ფიზიკური პირის დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით;
- იურიდიული პირის/ინდემწარმის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

იგივე სამართალდარღვევისთვის სახდელის დადებიდან 30 დღის შემდეგ, სამართალდარღვევის ყოველი მომდევნო ჩადენა გამოიწვევს:

- ფიზიკური პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით;
- იურიდიული პირის/ინდემწარმის დაჯარიმებას 700 ლარის ოდენობით.

კანონპროექტის ამოქმედება გათვალისწინებულია გამოქვეყნებიდან მე-60 დღეს.

# დღევანდელი ბაგა-ბალი სარჩობაში

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

მარშან შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ დღევანდელ ბაგა-ბალის მშენებლობა წამოიწყეს. კონკურსში გამარჯვებული ფირმის ხელმძღვანელობის დაუდევრობით, დაწყებული სამუშაოები საძირკველს არ ასცილებია. დამკვეთი ორგანიზაცია - შუახევის მუნიციპალიტეტის მერია იძულებული გახდა ფირმის მისამართით საჯარიმო სანქციები გაეტარებინა და სამეწარმეო საქმიანობის უფლება ჩამოერთმია.

წელს კონკურსი ისევ გამოცხადდა. გამარჯვებული შპს «ნაციონალი» სამშენებლო სამუშაოებს შეუდგა. მშენებლის სოფელიც გვერდით დაუდგა. ერთსართულიანი შენობის კედლები უკვე ამოიყვანეს. მალე გადახურვასაც დაასრულებენ. მიმდინარე სამუშაოებს შუახევის მუნიციპალიტეტის მერი ომარ ტაყიძე, საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე, თავმჯდომარის პირველი მოადგილე გიორგი დავითაძე გაეცნენ.



მალ მზად იქნება. ამ ეტაპზე აქ 4 ადგილობრივია დასაქმებული, როცა კეთილმოწყობის სამუშაოებს დაიწყებენ, კიდევ 11-ის დასაქმებას აპირებენ.

- მუნიციპალიტეტში კიდევ ერთი სკოლა მდელი დაწყებულია შენდება. მშენებლობა კარგი ტემპით და ხარისხიანად მიმდინარეობს. ბაგა-ბალი 30 ალსაზრდელზეა გათვლილი. მშენებლობის დასრულებისთანავე შენობის შემოგარენიც მოწყობილება. ბაგა-ბალში 11 ადამიანი მუდმივ სამუშაოს გაიჩენს, - გვითხრა ომარ ტაყიძემ.

- ბაგა-ბალი დღევანდელისთვის კიდევ ერთი კარგი შენაძენია. დედებს საშუალება ექნებათ, შვილები ნორმალურ გარემოში აღზარდონ. გარკვეულწილად, სოფლიდან მოსახლეობის მიგრაციაც შეჩერდება, - თქვა დღევანდელმა ლევან ფუტყარაძემ.

## რეკონსტრუქცია ბრძელდება

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზაზე ხულო-ზარზმის მონაკვეთის რეკონსტრუქცია გრძელდება. პროექტი, რომელსაც ქუეყეთის ფონდმა აფინანსებს, 2 მონაკვეთადაა დაყოფილი და რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია 42-კილომეტრიან მონაკვეთს უტარდება.

ხულო-ზარზმის მონაკვეთის პროექტის ფარგლებში დაიგება 2-ზოლიანი ასფალტ-ბეტონის საფარი; ამ ეტაპზე, გზის საფარის მოწყობის, ხიდებისა და სხვა ხელოვნური ნაგებობების მშენებლობა მიმდინარეობს; სამუშაოების ღირებულება 95 689 302 ლარს შეადგენს

ხულო-ზარზმის განახლებული გზა სამცხე-ჯავახეთისა და აჭარის რეგიონებს უმოკლესი გზით დააკავშირებს. სარეაბილიტაციო მონაკვეთი დაბა ხულოდან იწყება, გაივლის გოდერძის უღელტეხილს და ადიგენის სოფელ ზარზამამდე მივა. განახლებული გზით, ბათუმიდან ახალციხემდე მგზავრობის დრო 1.5 საათით შემცირდება.

- ეს საშვილიშვილო პროექტი დიდი ძალისხმევითა და შრომის ფასად კეთდება. თითქმის 8 წლის განმავლობაში დაპირება დაპირებად რჩებოდა, ახლა ყველა მადლიერია, - თქვა პარლამენტარმა ანზორ ბოლქვაძემ.





# ნაბლქა, მებრამ ვერ ნაბოლის... სხვა გზა, უბრალოდ, არცაა...

ოდესღაც ვფიქრობდი, ოდესმე ყველაზე ლამაზად შენ დამიტოვებდი, ჩემო უფუფუნა, ჩემო კეთილო დობილო და ნათლულო. შენ ხომ მანამდე გვირგვინი ახლობლად, ვიდრე პირადად გაგიცნობდი.

დაახლოებით ორმოცდახუთი წლის წინ, ერთ მშვენიერ დღეს, მეზობელთან გადასული, ნარდით ვიქცევდი თავს, როცა კედლის რადიოდან პირველად მომესმა შენი სახელი და გვარი - უფუფუნა ხაჩიშვილი, უფუნალ „ჟორჯის“ ახალი ნომრის მიმოხილვა მიდიოდა. თითქმის ზეპირად მახსოვს ბატონი ფრიდონ ხალვაშის სიტყვები: „ლექის მწერალი ბევრია, პოეტი - იშვიათი, ამიტომაც დიდი სიყვარული მოგვგვარა წყვაროკელი გოგონას, უფუფუნა ხაჩიშ-

ეს მე ვარ - ვანენ, ველარ მიცანი, ძვირფასო, ალბათ, შემჭრის დალალი კახაბრის ველზე, დამიწვეს ჩემი ქათიბი-კაბა“.

მიყვარს შენი „ავგისტო“, „მარია, რას სტორი“, უფრო ადრინდელი - „დიდებო, მომეც სულის წამალი“, „ნენი, შენ ვერ გათხოვდები“. როგორ მიყვარდა ამ ლექსზე შენთან ხუმრობა... ვაი, რომ ყველაფერი წარსულში დაგვრჩა.

ჩემო დიდი დობილო, შემინდე თავდაპირველი უნდობლობა, მცირე ხნით რომ გამოვიჩინე მაშინ, როცა მარინა ცვეტაევას თარგმანა გადაწყვიტე. რატომღაც ვფიქრობდი, რომ შენ მხოლოდ საკუთარ სამყაროში უნდა გეფრინა,

თუმცა მალე ვადიარე, რომ შენი თარგმანები მართლაც დიდებული იყო. ვიცი, რომ ბავშვობაში მსახიობობაზე ოცნებობდი და, აი, პოეზიის თარგმნისას მოახერხე ისეთი გარდასახვა, დიდი მსახიობები რომ ახერხებენ სცენაზე. ცოტა ხნის წინ გამახსენეს თარგმნის ხელოვნების დიდ მოამაგე ალექსანდრე ელერაშვილის სიტყვები, შენი თარგმანების მოსმენის მერე რომ გვითხრა: „ახლა ჩვენ ვუსმენდით ქართველ მარინა ცვეტაევას“. ვაი,



ვილის ლექსებმა“. ამას შენი ლექსები მოჰყვა და უნებურად მოვწყვედი გარემოს, სადაც გამიტაცეს შენმა მშვენიერმა, გრძნობიერებით სავსე სტრიქონებმა, საოცარი სიახლოვე ვიგრძენი და სულიერ დად ჩავთვალე. რამდენიმე თვეში ჩვენი ნამდვილი გაცნობაც შედგა და დიდი პოეტური სამეგობროც შეიკრა. მალე ჯარში გამიწვიეს და რამდენიმე თვეში ყინულოვან ჩრდილოეთში ბათუმიდან მომწირეს, უფუფუნა ხაჩიშვილი და ზურაბ ფირცხალაიშვილი დაქორწინდნენო. მახსოვს, როგორ გამათბო სიხარულმა. თქვენი სიყვარული კი ამ ათწლეულების განმავლობაში გაუნელებელი, ცხოვრების ყოველ ეტაპზე ახალი ფერებით მშვენიერდებოდა და გაუხუხუხებელი მოვიდა ამ საბედისწერო დღეებამდე.

რომ მართლა ჰგავდი ამ დიდ, მაგრამ ტრაგიკულ პოეტესს!

ამან ცოტა შემამოფთა და ერთხელ ვითხარი კიდევ, ცვეტაევა უკვე საკმარისად თარგმნი და ახლა იქნებ უფრო ბედნიერი პოეტესს თარგმნაზე გადახვიდე-მეთქი, თუმცა... შენ ჩემთვის მაინც ის ტკბილხმიანი ჩიტი იყავი, რომელსაც ტევრიდან უნდა ეგალობა, მაგრამ შენი სული ქვეყნის სატიკვარს ვერ დაემალებოდა და შენც, მაშინ, როცა ეროვნული მოძრაობის ტალღამ ჩვენამდე მოაღწია, უშიშრად დადექი ტრიბუნაზე და მოითხოვე ერისა და რწმენის თავისუფლება, ამან კი დამოუკიდებლობის მოპოვებამდეც და მერეც ბევრი ტკივილი გარგუნა. დროის აგმა ქარიშხალმა დაუნდობლად გაგრიყა, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებისათვის ბოლომდე დარჩი საყვარელ პოეტად და პატივცემულ ქალბატონად.

ახლა ტკივილით მაგონდება შენი ვმარადეოლობისდროინდელი ლექსი: „ქარო და ქარო, ქარო და ქარო, შენ რომ ამხელა ტყეებს პატრონობ, მე რომ წამლეკო და რომ წამშალო, სად გამოჩნდება, ჩემო ბატონო?!“.

წაგლეკა, მართლა წაგლეკა, მაგრამ ვერ წაგლეკის, შენი მშვენიერი შემოქმედება დაგიფარავს.

ბაბრი თეზაბი

- საიდან დავიწყო? - მერამდენედ ვეკითხები საკუთარ თავს... საიდან და ბოლოდან, ანუ რა მოცემულობაც გვაქვს დღეს... ნეკროლოგებიც მხოლოდ ცოცხალთათვის იწერება თურმე - გვიან მივხვდი ამას... ყველაზე მთავარი მაინც შენი და ზურას სიყვარული იყო... რას შქვია „იყო“ - არის და იქნება, ვიდრე ივლის შენგან ქვრივი და ყველაზე მეტად შენი (პერსონალური) პოეტი, პატრონი და

ლოს სიყვარულით გულანთებულ კაცთა თავშესაფარიც... იყო დაუღლებელი და მჩქეფარე წლები (ხან მიტინგებზე და ხან სცენებზე) - ლექსებითა და მამულიშვილური მოწოდებებით... ახლაც ზეპირად მახსოვს ყველაზე ადრინდელი სტრიქონებიც კი, უსუფთავის ხმის, პატარა წყვაროკელი გოგონის, ფრიდონ ხალვაშის წარდგინებით, რომელიც გზადგაზა იზრდებოდა ნაკადულიდან მდინარემდე და ბო-



მსახური შენი, როგორც ცოცხალი მაგალითი და სახე გაუზნარავი და შეურყეველი ერთგულების! მწარე მეტი იყო თუ ტკბილი?! - არც ესაა საპასუხოდ იოლი... ქირითა და სხვა გასაჭირებით დაღლილებმა სადაც ერთი უპატრონო ოთახი აღმოაჩინეს და ერთი პატარა შვილითა და მეორეზე მოლოდინით (ყუყა ფენქიმედ იყო მაშინ), თავისი მცირე ბარგი შესახლდნენ იქ... ასე აღვიდა არ იძლეოდნენ ბინებს მაშინ, მით უფრო იმ პოეტებზე, ვისაც მართალი სიტყვა პირად კეთილდღეობაზე მეტად უღირდა... არ დამავიწყდება გამოსასახლებლად მოსულ მილიციელთაგან ერთ-ერთი როგორ დაიძრა ფენქიმე პოეტი ქალისკენ და, როცა წინ გადავუდექი, როგორ მეცა ყელში და ვეცი მეც... შემთხვევით ვილაპარაკე მადლიანმა გვიშველა და გაგვაშველა, ფორმიანზე ხელით შეხება ხომ ყველაზე სასტიკად ისჯებოდა მაშინ... მერე იყო უმარავი სადღეგრძელო, ლექსი და სიმღერა გიტარისა და ფანდურის თანხლებით, რომელთა ნიჭი ლექსისაზე არანაკლებად მიეცა ღმერთს უფუფუნასთვის. აქ ხშირად იყვნენ მისი უმცროსი დები და ახლობლები, რომელთაც სწორედ უფუფუნამ გაუკავლა გზა ზურასთან ერთად... ლამის ყველა თვეში ახალ პოეტს აღმოაჩენდა ხოლმე და იხვეწებოდა - მოუსმინეთ, ნახეთ, რა ნიჭიერიაო, - ეს იყო მისი მთავარი ადამიანური თვისება და რა როგორ დაუფასდა, სხვა დროს და სხვა საუბრის თემა იყოს იქნება... მასთან (სახლში) ბევრმა პირველად ნახა ერთმანეთი და მერე თავიანთი ბედი სამუდამოდ დაუკავშირეს ერთმანეთს... ეს ოჯახი ერთგვარი პოეტის სალონიც იყო და სამშობ-

ლოს თავის ორიგინალურ ლექსებთან ერთად მარინა ცვეტაევას საოცარი თარგმანებით დაგვირგვინდა... უმძიმესი დრო გამოვიარეთ, ლამის აპოკალიფსურიც კი და, მწესთან ერთად, ცხოვრებასა თუ ადამიანურ ურთიერთობაში წვიმაც ყოფილა და თოვლიც - პოეტს ხომ საკუთარი ჩრდილიც ერჩის ხანდახან... არამკითხეთა გასაგონად კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ „უფთისოფელი ეშმაკისა“, რომელიც ყველაზე ლამაზ და მტკიცე კედელშიც კი ბზარებს დაეძვბა, რათა თავისი ჭინკები ჩასხას შიგნით, რღვევა და ნგრევა გარდაუვალი რომ გახადონ... ხომ ვინახავთ ნანგრევები, რომელთა დიდებულება ბევრად აღემატება სახელდახელოდ თუ ხელოვნურად აგებულ-შეკოწიწებულ ახალ შენობათა მნიშვნელობასა და სიმძლავსს... დიან, ღმერთის ნადგომზე ეშმა დიანს ვერ ჩერდება და ფეხს ვერ იკიდებს... ამ ქვეყნიდან ყველა გულნატკენი მიდის, პოეტი კი ყველაზე მეტად... ყველას თავისი მიეცემა და ისე, რომ ჩვენ არავინ არაფერს გვკითხავს, სწორედ სიკვდილია საბოლოო ნორმების დამდგენი... მიდის, მაგრამ ასე იოლიად სად და როგორ წახვალ... შენ შენმა ლექსებმა დაგაბეს აქ, შენმა ნაღვალმა და გულიდან გაღებულმა... მე კი ახლაც იქ ვარ, შენს პირველ ნაქირავებ ბინაში, შენს დებთან და ჩვენს საერთო მშენებელ და მეგობრებთან (მკვდრებსა და ცოცხლებთან) ერთად, ჩვენი გზის დასაწყისში, ასაღები გვაქვს პარნასი და სამშობლო - მტრის ხელიდან გამოსაღვი... ყველაფერი თავიდან უნდა დავიწყოთ, სხვა გზა, უბრალოდ, არცაა!!!

ზახტან ღლონტი

## ბროლივით ფაქიზის და ფოლადივით მტკიცის

არამართო ქართველ მწერალთა თანამედროვე პლეადას, ყოველ ჩვენგანს დააკლდება პოეტი, მთარგმნელი, კარგი ადამიანი და მოქალაქე უფუფუნა ხაჩიშვილი - დილის ნამივით სუფთა და სულში მზენასახლებული შემოქმედი. ძალიან ცოტაა ამქვეყნად ადამიანი, რომელსაც ასე შეეფერება სიტყვა პოეტი, რაც ზნეობრივი ფასეულობების, ადამიანური პრინციპების ერთგულებას გულისხმობს და ამავე დროს სულის თავისუფლებას. მისი სიტყვაც მართალი იყო და საქმეც, იმდენად, რომ ჩვენთვის მასთან არცთუ ისე ახლოს მყოფი ადამიანებისთვისაც კი ასხივებდა სიბრძნის და სინათლეს. დიან, ცოტა მეგულება ადამიანი, შემოქმედი, ვინც ასე უერთგულა ზნეობრივ ფასეულობებს, ვინც მართლაც, სამშობლოს ინტერესებს აყენებდა საკუთარზე მაღლა, ვისაც არასოდეს უცხოვრია ორმაგი სტანდარტებით, ვისაც კეთილდღეობაზე უარი უთქვამს, ჩინოვნიკის თბილი სკამი დაუტოვებია და ფენშიშველი მგონის აღმართს მოთმინებით დასდგომია...



კარა წყარო მზის სხივებს. ყოველთვის ნაღვ და სათუთი პოეტური სახეებით მდიდარ მის სტრიქონებს აქვთ საოცარი ძალა და ვფიქ-

რობ, ამ ძალას დრო კიდევ უფრო გაზრდის. ნამდვილი, დიდი პოეტების ხედვრი ხომ სწორედ ესაა. ჩინ-მედლებისთვის არასოდეს დაუხარჯავს დრო და ენერჯია... სიცოცხლეში ცოტა თუ ამჩნევდა, რომ მისი პოეზიის დამნახვისა და შემოფანების სიმრავლის მიუხედავად, საზოგადოების ყურადღებაც აკლდა და თანადგომაც. ზოგადად, ასეთია შინაგანი ღირსებით სავსე ადამიანების ხედვრი, რომლებიც არაფერს ითხოვენ და მხოლოდ გასცემენ. სამაგიეროდ, უფალმა სიყვარულის და ერთგულების მუდმივი გენერატორით, არჩევულბრივი მეუღლით დააჩლიდოვა. პოეტ ზურაბ ფირცხალაიშვილთან ერთად საარაკო სიყვარულით სავსე ოჯახი შექმნა, სადაც ყოფნით არაერთი ბათუმელი პოეტი, მეგობარი და ახლობელი იესებდა სულს მზით, აქ ლექსის, მუსიკისა და ერთად ყოფნის უკიდურებობაში სიყვარულის გადამდები ძალიან ივსებდნენ საზაღს ნაცრისფერი ყოველდღიურობისთვის. ორი ასეთი ნიჭიერი პოეტის ერთ ოჯახში დატევა და დაუმთავრებელი სულიერი სიახლოვე - აი, სიყვარულის კიდევ ერთი სასწაული. ამაყიც და თავმდაბალიც, ბროლივით ფაქიზიც და ფოლადივით მტკიცეც, კარგად მო-

საუბრეც და საუკეთესოს გულში შემნახავიც, მპატიებელიც და შეურთებელიც... დიან, ეს ყველაფერი შორიდანაც შესანიშნავად ჩანდა. არ მეგულება ბათუმელი, ეჭვი ეპარებოდეს უფუფუნა ხაჩიშვილის პიროვნულ სისუფთავეში, მისი და ზურაბის სიყვარულის ურყევობაში, ვერ იბოვნი სულიერი, ვინც წაიკითხა მისი ლექსები და არ მოისყიდა უფუფუნას გულწრფელობამ, მისი სიტყვის სიზუსტემ, სიღრმემ და სილამაზემ... „დიდი ადამიანები უძველესი იკარგებიან“... ნიკო ლორთქიფანიძის ეს სიტყვები მხოლოდ ნაწილობრივ ეხება უფუფუნა ხაჩიშვილს, რადგან, მართალია, შესაფერისი პატივი არ ერგო, მაგრამ დარჩა ლექსები, ბრწყინვალე თარგმანები, რომლებიც არასოდეს დაკარგავენ მათ ავტორს, რაც მეტი დრო გავა, მით უფრო თვალსაჩინო გახდება მათი სინამდვილე, სიღრმე და კეთილშინაობა... შორიდან ვცემდი პატივს, შორიდან მეგულებოდა ამ კუთხის და საქართველოს ერთ-ერთ საუკეთესო პოეტად, რომელიც ჩუმიად იწვოდა, ჩუმიად ატარებდა თავის სევდასა და ღირსებას... უფალმა დაუშვიდროს სამუდამო სასუფეველი.

ზაინა მითაიშვილი

ზეცის ბილიკი ამოვიარე, გულზე მეფინა მზე - იაგუნდი, გამოფერადე იალ - ტიალებს, ისევ და ისევ შენთან დაგბრუნდი...

მსუყვია მიწა - სამოთხის დარი, უფრო ნეტარი რაღა ვინატრო?- ვარ შენი ტყუბი, ვარ შენი ცალი და მინდა შენში დავიბინდრო!

დასაბამიდან ვიცი, ვინა ხარ, თითქოს ეს გული ორად გახიეს... ედემურ ხსოვნით ისე გინახავ, ვით სანთერი - არასანთერი!

ჟუჟუნა ხაჯოშვილი



დავპილოვება

ჩაკითხულია სულ ბოლო სუნთქვა, რა ცოდვა-მადლი, რისი ცხოვრება? შენ ასე მართალს, ნათელს და სუფთას ამგვარი ყოფა გეუცხოება...

ზურაბ შიშხალაიშვილი



ჟუჟუ, ჩემო ძვირფასო დიკო მამაყაბი დო, ჟუჟუნა...

შენმა ახალმა კრებულმა ცად აღმავალი პოეტური სუნთქვა მომასმინა. თავად შენ, ძილ-ბურანში შეხვდი ქართული ლექსის პარნასზე მის ფუძემკვიდრობას.



ზურაბმა მოგახარა - ჟუჟუ, თვალი გაახილე, შენი ლექსების ახალი კრებული მოგიტანეო. თვალეში ჩახედე, გაგვიღმა და ისევ დახუჭე თვალები. დიმილიანი სახე კი შეგვჩა. ნეტავ რას უნდა ნიშნავდეს პოეტის ბოლო დიმილი?

იქნებ ყოველი სასაცილოა, იქნებ წარსული არ ღირს ცრემლებად... სვალ რა იქნება, შენ ის თქვი, თორემ ჩვენთან ყველაფერს შემოვივლება. ვერ ამისნია, რა გზით წავიდა ცის სახსოვარი - აბრღ-მისი...

ცისანა ანთაპი

ბათუმ-ქალაქის დამამშვენებნი, მუზის მსახურნი, ლექსად დაღვრილნი, ებულბულება თქვენს გავლილ ბილიკს იათსურნელით, ლურჯი აპრილი. საკვირველია, როგორ მოთავსდა ერთ ჭერქვეშ ორი პოეტის სული...



მჭერა, მათ სულ სხვა დიდება ელით. პოეტთა ბუდე მზით რომ გაათბო, წუთისოფელი ღირდა ამაღაც... გურულ-აჭარულ ამ სიყვარულზე ალბათ ოდესმე დაგვერ ბაღდას...

ლევან ხოროშანიძე

ქედს ვიხრით მისი ხსოვნის წინაშე

ქართული მწერლობის ბათუმურმა ფრთამ დიდი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა პოეტი, მთარგმნელი და პუბლიცისტი ჟუჟუნა ხაჯოშვილი...

ით ვიცხოვრებ მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება... რომელ ლექსს გამოარჩევდი თქვენი შემოქმედებიდან და რატომ? გაისინენთ ამ ლექსის დაწერის პროცესი. რამ შთაგვაგონათ?



ქალბატონი ჟუჟუნა წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში არსებულ ნორჩ შემოქმედთა წრეს, ზურაბ გორგილაძის სახელობის ნორჩ შემოქმედთა ლიტერატურული კლუბი „ზღვაური“ (ხელმძღვანელი - ბელა ქებურია) ქედს იხრის მისი ხსოვნის წინაშე... კლუბ „ზღვაურის“ წევრმა, ნიჭიერმა ახალგაზრდა შემოქმედმა თემო ტარიელაძემ შარშან ჩაიწერა ინტერვიუ ჟუჟუნა ხაჯოშვილთან, რომელსაც აქვე გთავაზობთ.

1995 წლიდან ქართულად ვთარგმნი დიდი რუსი პოეტი ქალის - მარინა ცვეტაევის ლექსებს. 2004 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა ცვეტაევის ჩემუელი თარგმანები. გამოსაცემად მომზადებული მაქვს მარინა ცვეტაევის 80 რჩეული ლექსი, რომელიც ახლო მომავალში გამოვა. საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი ვარ 1989 წლიდან.

რა არის პოეზია და რა აჯალიბებს ლექსის მწერალს პოეტად? - რთული კითხვაა. ვფიქრობ, პოეზია სულის მდგომარეობაა. აღარ მახსოვს, ეს სიტყვები ვის ეკუთვნის, მაგრამ პოეზიის არის კარგადაა შეფასებული: „პოეზია ტორტის ნაჭერი არაა, ყველამ ერთხმად რომ შეაფასოს, დანაყრდეს და დაივიწყოს. პოეზია უფრო ლურჯი ფრინველია, რომელსაც ან მოიხელოებ, თვალს გააყოლებ, ან სულაც ვერ შეამჩნივ“. პოეზიისკენ ლტოლვა საკუთარ თავშია საძიებელი, გინდებდა ლექსის წერის სურვილი და შენც წერ. მერე კი ღმერთი გეხმარება დაოსტატებაში. ნამდვილი პოეზია ისაა, რომელიც ღმერთის ხელი ურევია, მის გარეშე არაფერი გამოვა, შესაბამისი ნიჭიც უნდა გააჩნდეს, რა თქმა უნდა...

ანებივრებენ ხოლმე, ამიტომ მათთან გადავსახლდი, ბუხრიან თათხში. ყოველი დაძინების წინ ბებოს ფუმფულა, თბილ ფეხებზე ჩახუტება მიყვარდა, მას კი ლოცვის გარეშე არასდროს დაუძინია: - ღმერთო, შვილიშვილი დამილოცე, კარგი ბედი მიეცი და ჩემსავით ამრავლეო. განსაკუთრებით რამაზანის დამეგები მახსოვს, როცა მთელი ღამე ნამარხულევი ბებია და ბაბუა ბუხარში ცხემლის ჯირკს შეაგდებდნენ და ისეთ ცეცხლს გაჩაღებდნენ, მომეტებული მცხუნვარებისგან ძილი მიკრთებოდა. სანამ ისინი ჩემს გაღვიძება-არაღვიძებაზე ბჭობდნენ, ვისკუპებდი და პერანგის ამარა იმთ გვერდით აღმოვჩნდებოდი. სუფრაზე შექერის ფოთლებში გამომცხვარი უზარმაზარი მჭადი ელვარებდა - სავსე მთვარის მსგავსი. ბაბუს და ბების ღამეული ვაშშობა მაშინ ჩემთვის ბავშვური დაკვირვების საგანი იყო. როცა წამოვიზარდე, ყველაფერი სხვაგვარად დავინახე... „მარია, რას ტირი“ მარია, რას ჩივი? ჩემი შვილი ავად არის, იმას ვტირი, იმას ვჩივი!“ - ეს

დი, მაგრამ თითქოს ვანენის კითხვიანი თვალეში შემომეფეთა... ასე დაიბადა სიტყვები და ლექსი - „ეს მე ვარ - ვანენ!“ შეერთო სხალთის დადასმულ ხატებს იმედი ჩემი - ცრემლმომცინარი... ვეღარ გუბოვე მიზეზი - სასჯელს, ვეღარც მშველელად ვეძებ სინანულს. ეს მე ვარ - ვანენ! ეს მე ვარ - ვანენ! ვეღარ მიცანი, ძვირფასო, ალბათ, შემჭრეს დალალი, კახაბრის ველზე, დამიწვეს ჩემი ჭათიბი კაბა! უღობველ წლებს და მსახვრალ თარიღებს გამოვქეცი გასაოცრებით... შენი ტაძრიდან რატომ აფრინდენ ცისკენ... დამფრთხალი ანგელოზები?!

ლიტერატურული კლუბი „ზღვაური“



# უჩვეულო სღამო - ხელოვნების ცენტრში

მანანა აბოშვილი 598 24 94 97

**„ბათუმი არტ-შოუ-2022“-მა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით, ხელოვნების ცენტრში საინტერესო საღამო შესთავაზა ბათუმელებს - ხელოვნების სხვადასხვა დარგი ერთ სივრცეში გაერთიანა. საღამოზე ევროპული კლასიკური მუსიკისა და თანამედროვე მოდის შერწყმა ვიხილეთ. აქვე მოეწყო გამოფენა და ახალი წიგნის პრეზენტაცია**

**ჯიშონ ბურბანიძის გამოფენა**  
ცენტრის ფოიეში დიზაინერისა და არქიტექტორის - ჯიშონ ბურბანიძის პერსონალური გამოფენა მოეწყო, რომელზეც ხელოვნება სხვადასხვა დროს შესრულებული ხეზე კვეთილი ნამუშევრები წარმოადგინა.  
- ჯიშონი მრავალმხრივი შემოქმედელი, ბევრ სფეროში მუშაობს - არქიტექტურაში, ფერწერაში, გრაფიკაში, ხის მხატვრულ დამუშავებაში. მასალის მოძიება, შემდეგ მასში რაღაც ახალი ფორმების აღმოჩენა, არ არის ადვილი, რასაც ძალიან კარგად ახერხებს ნიჭიერი შემოქმედელი. ვუსურვებ მას წარმატებებს, - აღნიშნა მხატვარმა გურამ ფურცაყაძემ.



- ცნობილი დიზაინერი, არქიტექტორი, მოქანდაკე... ძალიან ბევრს შრომობს. ამ გამოფენის ერთ-ერთი „თანამონაწილე“ მეც ვარ იმ გაგებთ, რომ ხშირად ზღვისკენ გამოიყვან ხის ტოტებს, ნაფორებს ვუნახავ და გადავცემ. იმ ტოტებისგან გაკეთებული არაერთი ნამუშევრია აქ წარმოდგენილი. უნდა ითქვას, რომ ჯიშონს ყველა ნამუშევარი მეტყველებს, ცოცხალი, საინტერესოა. თითოეულში ჩადებულია თემა, აზრი, გონება, - აღნიშნა არქიტექტორმა ვია ბალოშვილმა.

- ახალგაზრდებმა მთხვეს და მეც წარმოვადგინე ჩემი როგორც ახალი, ისე ძველი ნამუშევრები, რითაც ამ საღამოსთვის გარკვეული ანტურაჟი შევქმენი. მოვიტანე, ძირითადად, ზღვაზე, შტორმის შემდგომ გამოიყვანილი ხის ტოტები, რომლისგანაც სხვადასხვა კომპოზიცია შევქმენი. ხე თავად მკარანახობს, რა გავაკეთო, - გვითხრა ჯიშონ ბურბანიძემ.

## სამოღებლო სააბანტო „ია ღონიაძე“ და მისი მოღვაწეები

ფოიეს მესამე სართული დაეთმო ახალგაზრდა დიზაინერ ია ღონიაძის მიერ შექმნილ სამოსის ჩვენებას. ია ღონიაძემ 15 წელია, რაც სამოდელო სააგენტო „ია ღონიაძე“ დააარსა. ბათუმის ხელოვნების უნივერ-



სიტეტის კურსდამთავრებული, სპეციალობით მხატვარ-მოდელიორია. ჰყავს როგორც პატარების, ისე უფროსების ჯგუფი. ჩვენებაზე ორივე გამოიყვანა. მან უკვე მოაწყო 25-ზე მეტი პერსონალური გამოფენა და ჩვენება, მათ შორის, ბათუმსა და თბილისში, გერმანიაში (ბერლინში, ჰამბურგში), სომხეთში (ერევანში). აღსანიშნავია, რომ ია ღონიაძემ სასიქადლო მხატვარ ანტონ ფილიპოვის მოსწავლე იყო სამხატვრო სკოლაში. ჩვენებაზე ახალი კოლექციით წარსდგა. ძირითადად, ტიულის ფოთლების აპლიკაცია წარმოადგინა. როგორც აღნიშნა, ჩვენება რომ მოსაწყენი და სევდიანი არ გამხდარიყო, შე-

მოდგომის ფერებს ნათელი ვარდისფერებიც შეურთა. აღსანიშნავია, რომ მისი მოდელები, როგორც დიდები, ისე პატარები, საღამოს დასკვნით ნაწილშიც - კლასიკური მუსიკის კონცერტშიც მონაწილეობდნენ. იმდღევანდელ კონცერტზე მომღერლებს სწორედ ია ღონიაძის სამოდელო სააგენტოს მიერ შეკერილი კოსტიუმები ეცვათ.

## ანა ლომიაშვილის წიგნის „საოპერო მუსიკის ისტორიიდან აჭარაში“ პრეზენტაცია

კიდევ ერთი საინტერესო ღონისძიება გაიმართა იმ საღამოს - ანა ლომიაშვილის წიგნის - „საოპერო მუსიკის ისტორიიდან აჭარაში“ პრეზენტაცია. ეს მისი პირველი წიგნია, მასში მოთხრობილია თბილისის საოპერო (შედარებით ცოტა), ბათუმის საოპერო და ბავშვთა საოპერო თეატრებზე. ქრონოლოგიურადაა დალაგებული იმ ცნობილი მომღერლების ჩამოსვლა, ვინც ბათუმს სხვადასხვა დროს სტუმრობდა.

- პირველად ვარ ავტორის ამბოჯოში. ამ წიგნზე ოთხი წელია, ვმუშაობ. რადგან თავად ვარ საოპერო მომღერალი და ბათუმელი, ჩემთვის საინტერესო იყო ბათუმის საოპერო თეატრის დაარსების ისტორია. წიგნში გადმოცემულია საოპერო თეატრის დაარსების სამი მცდელობა. მოვიძიე მასალები სხვადასხვა გაზეთიდან, არქივიდან, მუზეუმის არქივიც გამოვიყენე. აფიშებისა და ფოტოების შეგროვებაში ხარტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის თანამშრომელი ზაალ შენგელია დამხმარა. რა თქმა უნდა, გვერდით დამიდაგ ჩემი ბებო - საშა ლეკვეიშვილი რედაქტირებასა და წიგნისთვის მიმართულების მიცემაში. ის წლებია, მუზეუმის თანამშრომელია. ბათუმი, რომელსაც ძალიან დიდი კულტურა და ისტორია აქვს, ჩემი უსაყვარლესი ქალაქია. წიგნში ნახავთ ყველას, ვინც კი 1879 წლიდან მოყოლებული, საგასტროლო ტურნეში ჩამოსულა ჩვენთან. რაც მოვიძიე, ყველა ინფორმაცია ქრონოლოგიურად მაქვს დალაგებული. მუშაობის პროცესში ძალიან ბევრი საინტერესო ინფორმაცია აღმოვაჩინე, რაც აქამდე არ ვიცოდი. წიგნზე მუშაობა რთული, მაგრამ ძალიან საინტერესო იყო, - გვითხრა ანა ლომიაშვილმა.

- ანა ლომიაშვილის წიგნში წარმოდგენილია საყურადღებო და საინტერესო მასალები ოპერის მიმართულებით წარმოებული საქმიანობის შესახებ. აქ სპეციფიკური, კონკრეტული საკითხებია წინ წამოწეული, რომელშიც შესანიშნავად ჩანს ბათუმის კულტურული ცხოვრება. მასში თავდაპირველად მიმოხილულია მასალები საოპერო მუსიკის განვითარების შესახებ, წარმოდგენილია ქართველი კომპოზიტორები, მომღერლები, რომლებიც თბილისის საოპერო თეატრში მე-19 საუკუნეში მოღვაწეობდნენ. კარგია, რომ ავტორს ყურადღების არეალიდან არ გამოორჩენია ცნობილი ევროპელი ხელოვნებები, რომლებიც თბილისში ჩამოდიოდნენ და საფუძველი ჩაუყარეს საოპერო ხელოვნებას. მათი ნაწარმოებები იდგებოდა დედაქალაქში. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებული აჭარაში საოპერო ხელოვნების განვითარებაზე, სადაც მკითხველი ბევრ უცნობ მასალას გაეცნობა. გულით ვულოცავ ავტორს, - აღნიშნა პროფესორმა ოთარ გოგოლიშვილმა.

- წიგნში შეტანილია მასალები საოპერო ხელოვნების განვითარების სხვადასხვა ეტაპის შესახებ. საინტერესოა წიგნის საერთო პანორამა, თხრობის დინამიკა. ამ შემთხვევაში, ანა ლომიაშვილს, როგორც კარგი ხმის ბენდიერ მფლობელს, დამატება მაძიებლის ტულანტი. ავტორის ისტორიული წყაროებიდან გამოყენებული აქვს სამეცნიერო, მონოგრაფიული, ლიტერატურული, მდიდარი საარქივო მასალები. წარმატებას ვუსურვებ ანას, როგორც სოლო კარიერაში, ისე სამწერლო ასპარეზზე, - გვითხრა დირიჟორმა, სამუსიკო ხელოვნების დოქტორმა ზაირა ვადაჭკორიამ.

## „ლურია დი ლამიგზური“ - ანა ლომიაშვილისა და ემიკლე ბურბანიძის შუსრულებით

საინტერესო საღამოს გაგრძელება, რომელიც მიჰყავდა აჭარის ტელევიზიის მეტეოროლოგ კობა ფარტენაძეს, გახლდათ სცენების დონიცეტის ოპერადან „ლურია დი ლამიგზური“, რომელშიც მონაწილეობდნენ ახალგაზრდა ბათუმელი მომღერლები ანა ლომიაშვილი (კათოლიკეტი) სოპრანო - ლურია, ერეკლე გურგენიძე (ბანი-ბარტონი - ლორდი ენრიკო ეშტონი), ნათია ზოიძე (მეცოსოპრანო - ალისა) და მათი კონცერტ-მისტიკრი თამთა ჩხეიძე.

კონცერტის მეორე განყოფილებაში ახალგაზრდა სოლისტებმა შესრულეს საოპერო რეპერტუარიდან ცნობილი არიები,

რამაც მათ დაეხმარა არაერთი კონკურსის ლაურეატი, საქართველოს დამსახურებული არტისტი ნატალია ჭანტურიშვილი. ამ პიანისტის ცხოვრების გარკვეული წლები დაკავშირებულია ბათუმთან. იგი წარმატებით მოღვაწეობდა როგორც კონცერტმასტერი, პედაგოგი. ჰყავს აღზრდილი, თორმეტი საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი და გრანპრის მფლობელი, რომელთა შორის არიან მათა თამაძე, მარიამ ჭანტურიშვილი, იანო ალიბეგაშვილი. ქალბატონი ნატალია მრავალი წელი მოღვაწეობდა თურქეთში - მერსინისა და სამსუნგის საოპერო თეატრებში.

ერეკლე გურგენიძემ პირველი ვოკალური ნაბიჯები ბათუმის რევაზ ლადის სახელობის მუსიკალურ სკოლაში გადადგა პედაგოგების ლია ჯაშისა და რუსუდან გეგენავას



ხელმძღვანელობით. ამჟამად თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მაგისტრანტია (პედაგოგ გიორგი ვანისძის კლასი), არის საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი, მათ შორის, ნოდარ ანდლუაძის, ვაჟა ჩაჩავას, „მომავლის ვარსკვლავების“, მელოტონ ბალანჩივაძის, ლადო ათანელის. მონაწილეობდა სპექტაკლებში „ჩადოსნური ფლეიტა“, „ბასტიენი და ბასტიენა“, „ბოშემა“ და „ჩანი სკიკი“.

ანა ლომიაშვილს დამთავრებული აქვს ფლიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლის საფორტეპიანო განყოფილება, შემდეგ ლადის სახელობის ხელოვნებისა და კულტურის კოლეჯი ვოკალის განხრით, პედაგოგ ლია ჯაშის ხელმძღვანელობით, პარალელურად ბათუმის ქალთა კამერულ გუნდში მღეროდა. შემდეგ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია (მედეა ამირანაშვილის კლასი), აქვს მაგისტრის ხარისხი. არის აჭარის პირველი რესპუბლიკური კონკურსისა და ოთარ თაქაქიშვილის სახელობის საერთაშო-

რისო კონკურსის ლაურეატი. მონაწილეობდა სპექტაკლებში „ფიგაროს ქორწინება“ და „ჩადოსნური ფლეიტა“. გამართული აქვს სოლო-კონცერტები.

ნათია ზოიძე რევაზ ლადის სამუსიკო სკოლის დამთავრების შემდეგ, ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტში პროფესორ თამაზ ცერიაშვილის კლასში სწავლობდა, არის არაერთი კონკურს-ფესტივალის მონაწილე და ლაურეატი, მათ შორის, აჭარის რეაპუბლიკური, თურქეთის, ზურბაიჯანის, ბულგარეთის, საბერძნეთის, სომხეთის, გერმანიის, იტალიის კონკურსების ლაურეატი.

პიანისტმა თამთა ჩხეიძემ პირველი სამუსიკო განათლება ბათუმში მიიღო. ამჟამად ის ხელოვნების უნივერსიტეტის მაგისტრატურის დამამთავრებელ სავსურსება. მონაწილეობდა არაერთ კონკურს-ფესტივალში როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში.

- ანა ლომიაშვილი, ირაკლი გურგენიძე -

# „საით ბავიქსეთ რუსეთიდან ახლავე?“

ასეთი შინაარსის პოსტი ტელეგრამ-არხზე „მედუზა live“ მას შემდეგ გავრცელდა, რაც გლადიმერ პუტინმა ნაწილობრივი მობილიზაციის შესახებ განკარგულებაზე ხელი მოაწერა. პოსტი ორ ვერსიას შეიცავს:

- 1) სად გავიქცეთ, თუ საზღვარგარეთის პასპორტი არ გვაქვს (რამდენი ხანი შეგვიძლია, იქ გავჩერდეთ):  
სომხეთი - (180 დღე); ბელარუსი - (90 დღე); ყირგიზეთი - (30 დღე + ექვსი თვე საცხოვრებლის რეგისტრაციის შემთხვევაში); ყაზახეთი - (30 დღე რეგისტრაციის გარეშე + 60 საცხოვრებლის რეგისტრაციის შემდეგ).
- 2) სად გავიქცეთ, თუ გვაქვს საზღვარგარეთის პასპორტი, მაგრამ აქ გვაქვს ვიზა (რამდენი ხანი შეგვიძლია, იქ გავჩერდეთ):  
საქართველო (360 დღე, თუმცა რუსებს ხშირად ექმნებათ პრობლემები შესვლაზე); მექსიკა (180 დღე, საჭიროა ელექტრონული ვიზა); ეგვიპტე - (90 დღე, საჭიროა ელექტრონული ვიზა); ისრაელი, მოლოდოვა, აზერბაიჯანი, ტაჯიკეთი, ბრაზილია, არაბთა გაერთიანებული სამაროები, ეკვადორი, ყატარი - 90 დღე ვიზის გარეშე; სამხრეთ კორეა (90 დღე, საჭიროა ელექტრონული ვიზა); ტაილანდი - 45 დღე; ინდოეთი (30 დღიდან 5 წლამდე, ელექტრონული ვიზის მიხედვით); ინდონეზია, მალაიზია, მონღოლეთი, ლაოსი, სერბეთი - 30 დღე ვიზის გარეშე; შრი ლანკა - 30 დღე ვიზის გარეშე.



პუტინის მიერ მობილიზაციის გამოცხადების შემდეგ, რუსეთში ავიაბილეთების ფასებმა მოიმატა. როგორც რუსეთში მდებარე, მოსკოვიდან სტამბოლის, ერევნის, ბაქოსა და სხვა მეზობელი ქვეყნების მიმართულებით, სადაც რუსეთის მოქალაქეებს ვიზა არ სჭირდებათ, უახლოესი პერიოდისთვის „ავიარეისებზე ბილეთები აღარ დარჩა“. როგორც მდებარე ვიზის, 23-24 სექტემბერამდე ყველა ბილეთი გაყიდულია, ამ დროისთვის დარჩენილია მხოლოდ რამდენიმე ბილეთი და ისიც - ბიზნეს-კლასით მგზავობისთვის.

აღსანიშნავია, რომ რეზერვისტებს, რომლებიც გაწვევას მიიღებენ, ქვეყნიდან გასვლა აუკრძალვბათ.



# მანტანბ ბერიძე - „სტუმრად მანტანბ ღლონტთან“

ზიძობა ღაზლაძე 597 25 25 72

19 სექტემბერს ბათუმის მუსიკალურ ცენტრში „სტუმრად ვახტანგ ღლონტთან“ რეჟისორი ვახტანგ ბერიძე იმყოფებოდა. ახალგაზრდა რეჟისორმა მოწვეულ სტუმრებს თავისი სპექტაკლებიდან ნაწვევები წარუდგინა



მეხვედრაზე ვახტანგ ბერიძემ განვიხილეთ გზაზე, იმ გეგმებზე ისაუბრა, რომლის განხორციელებასაც უახლოეს პერიოდში გეგმავს. ასეთ საღამოებს მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს, ერთმანეთს ვიცნობთ, მაგრამ ერთმანეთის გეგმებსა და მიზნებზე არაფერი ვიცით. დღეს ჩემს საღამოზე მოსულ ადამიანებს ვესაუბრე განვიხილეთ გზაზე, იმაზე, რაც ჩემში დაგროვდა და რისი გაკეთებაც მინდა. მოხარული ვარ, რომ მსგავსი საღამოები ტარდება, რადგან ბათუმელი და სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები ადამიანები გაიცნო საზოგადოებამ. ერთმანეთთან სოციალური კომუნი-

ბი, საზოგადო მოღვაწეები, მათ შორის ბელა ქებურია, რომელმაც ვახტანგ ბერიძის ნიჭიერებაზე ისაუბრა.

- წლებია, თვალს ვადევნებ ამ ახალგაზრდა კაცს. ის უნიჭიერესი ადამიანია, უსაზღვროდ შეყვარებულია თავის კუთხეზე. სწორედ ამიტომ, შემოქმედ ადამიანებს უნდა ეძლეოდეთ საშუალება, გამოავლინონ თავისი შესაძლებლობები. არსებობს სხვადასხვა ტიპის ფესტივალი, მაგრამ სიტყვის ფესტივალი არასოდეს გამეგო. სწორედ ეს შემლო ვახტანგმა. მონდომებული ახალგაზრდა და თავის ნიჭსაც კარგად იყენებს. მინდა, ასეთ ახალგაზრდას ყველა დაუდგეს გვერდში. ვახტანგს ყველა და ყველაფერი უყვარს. ქართულ მწერლობაში მან მკაფიოდ შემოიჭრა აჭარის თემი და ამის შემდეგ ბევრი ლიტერატურული ჩანახატი შეიქმნა. ნებისმიერ თანამედროვე მწერალს შეუძლია ჩვენს კუთხეში ბევრი რამ დაწეროს, - გვითხრა ბელა ქებურიამ.

ვახტანგ ბერიძე თავის კუთხეზე და საქმეზე შეყვარებულ პიროვნებად დაახასიათა უმაღლესი საბჭოთა წევრმა ფრაქცია „ქართული ოცნებებიდან“ ფრიდონ ფუტყარაძემ.

- თავისი კუთხე ასე წარმოგიჩინოს ადამიანს, იშვიათია. მაღალმთიანი აჭარის პოპულარიზაციაში დიდი წვლილი სწორედ ვახტანგ ბერიძის პროექტს მიუძღვის. „ზეკართან“ იმ ფესტივალითა შორისა, რომელიც წინ მიიწვეს და ეს არ არის მხოლოდ ვახტანგის წარმატება - ეს ყველას წარმატებაა. ღლონტებამ საერთაშორისო მასშტაბები შეიძინა, რაც მთლიანად რეგიონისთვისაა საკეთის მომტანი. მუნიციპალიტეტებში აშკარად გაიზარდა ლიტერატურის მიმართ ინტერესი, - აღნიშნა ფრიდონ ფუტყარაძემ.

23-26 სექტემბერს საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალი „ზეკართან“ მეთედ გაიმართება. ვახტანგ ბერიძე - ამ ფესტივალის დამფუძნებელი და დირექტორია.

# გზაზე ბეტონის საფარი დაიგო

თამაზ მზახარიძე 27 48 93

შუახვევის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯაბნძეძეებზე წლებია მეწყერული პროცესები აწუხებს. სტიქიის შემოტევას მრავალი ოჯახი განერიდა და სხვაგან გაიხიზნა საცხოვრისი. სოფელი მაინც არ მოიშალა - ქაშვეთის, კომაკეთის, ვერხვანის, გორის უბნებში ადამიანები ცხოვრობენ აგრძელებენ. ადგილობრივი ბიუჯეტიდან მნიშვნელოვანი თანხები გამოიყოფა საავტომობილო გზებზე ბეტონის საფარის დასაგებად და ფერდსამაგარი სამუშაოებისთვის.

პროგრამით ლევან თავდგირიძის და ლევან მუკუტაძის საცხოვრებელ სახლებთან მისასვლელ საავტომობილო გზაზე ბეტონის საფარი დაიგო.

შესრულებული სამუშაოები შუახვევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძემ, საკრებულოს წევრმა თენგიზ ივანაძემ და შუახვევის მერიის წარმომადგენელმა უჩაშბის ადმინისტრაციულ ერთეულში ემზარ დავითაძემ მოინახულეს.

- ამ სოფელში კიდევ სამ ლოკაციაზე მიმდინარეობს სამუშაოები, რომელიც დაზამთრებამდე დასრულდება, - გვითხრა როსტომ ლორთქიფანიძემ.



# ახალი სასწავლო წლის სიასხლეა...

მე-3 გვერდიდან

- რესურსცენტრი სკოლებთან დაკავშირებით უამრავ პროექტს ახორციელებს, რომელიც შეიძლება სამ მიმართულებად დაგვით: ესაა მოსწავლეთა, მასწავლებელთა და ადმინისტრაციის პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული პროექტები. მოსწავლეთა მიმართულებით, გარდა იმისა, რასაც სამინისტროები, არასამთავრობოები ან თვითმმართველობა ახორციელებს, ჩვენც დამატებით ვატარებთ საგნობრივ კონკურსებს ისტორიაში, სამოქალაქო განათლებაში, გეოგრაფიასა და ინგლისურ ენაში. ვაჩალებთ კლუბებს, საზაფხულო სკოლებსა და ბანაკებს, ვცდილობთ არაფორმალურ განათლებაში მო-

სწავლეთა ჩართვას. მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისათვის ხელს გუწყობთ ტრენინგების და ვორკშოპების ორგანიზებას, ვატარებთ მასწავლებელთა მუნიციპალურ კონფერენციას. წელს პირველად ვატარებთ დირექტორთა და ადმინისტრაციის პირველ მუნიციპალურ კონფერენციას, რომლის ძირითადი მიზანია სკოლის მართვის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება, არსებული პრობლემებისა და გამოწვევების გამოვლენა და გადაჭრის გზებზე მსჯელობა.

სხვადასხვა მიმართულებით უამრავ პროექტს ვახორციელებთ, შედეგს აუცილებლად გამოიღებთ. ეს უკვე იგრძნობა, თუმცა განათლება ისეთი სფეროა, საგრძნობი შედეგი წლების მერე იჩენს თავს.

# „21 წლის ასაკში მარტივია, ილუზიებში აღმოჩნდა“

„ნაპოლის“ ყოფილი ფეხბურთელი სალვატორე ბანი ლუჩანო სპალეტის განცხადებას გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ იტალიელი სპეციალისტი ამ ქმედებით „კვარას“ დაეხმარა:

„ზვირა პირველად მაშინ ვნახე, როცა 15 წლის იყო და მის შესაძლებლობებსა და უნარებში ეჭვი არ მეპარებოდა. ერთადერთი გამოწვევა ის იყო, რომ ინსინიეს მემკვიდრეობა ძალიან მძიმეა, თუმცა კვარაცხელია ხასიათითა და გამბედაობით გამოირჩევა. როცა სპალეტმა საჯაროდ გააკრიტიკა, ეს მხოლოდ მისთვის და მისი პროგრესისთვის გააკეთა. 21 წლის ასაკში მარტივია, ილუზიებში აღმოჩნდე და დაიჭირო, რომ მიზანს მიაღწიე, როცა ასე არაა, თუმცა ზვირა ასეთი ტიპის ადამიანად არ მეჩვენება. ის სერიოზული ბიჭია, რომელიც ყოველთვის საქმეზეა ფოკუსირებული და საკუთარი თავის სჭერა. „ნაპოლიმ“ „მილანი“ მისი თამა-



შის წყალობით დაამარცხა.“  
შეგახსენებთ: „ნაპოლის“ ქართველი ფეხბურთელი ეროვნული ნაკრებისა და იტალიური „კრემონეზის“ წევრ ლუკა ლორიშვილთან ერთად გუშინ თბილისში ჩამოვიდა და ჩრდილოეთ მაკედონიასთან მატჩისთვის მოემზადება.

ამირან გუმილიძე

# უკრაინა

ნებისმიერმა სახელმწიფომ, რომელიც შიმშილის პროვოცირებას ახდენს, ცდილობს საკვებზე წვდომა პრივილეგიად აქციოს, ერების შიმშილისაგან დაცვა კი ბედის ვალიებზე ან რომელიმე დიქტატორის წყალობაზე დამოკიდებული გახადოს, ყველაზე მკაცრი რეაქცია უნდა მიიღოს მსოფლიოსგან, - ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ გლობალური სასურსათო უსაფრთხოების სამიტზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა. მისი თქმით, სახელმწიფომ შიმშილის პროვოცირებისთვის ისეთივე რეაქცია უნდა მიიღოს, როგორც მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენების გამო, „რადგან შიმშილის გავრცელება არის მასობრივი განადგურების იგივე ამორალური და არაადამიანური იარაღი, როგორც მომავლიდან ბაქტერიების ან რადიაციის გავრცელება“. ზელენსკის თქმით, რუსეთს სურს, შიმშილისგან დაცვა არა უფლებად, არამედ პრივილეგიად აქციოს და სურს, საკვები არა განუყოფელ უფლებად, არამედ ისეთ რამედ აქციოს, რის მისაღებადაც თხოვნაა საჭირო.

უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მრჩეველი მიხაილო პოდოლიაკი რუსეთში ნაწილობრივი მობილიზაციის გამოცხადებას ეხმიანება. „სამდლიანი“ ომის 210-ე დღე: რუსებმა, რომლებიც მოითხოვდნენ უკრაინის განადგურებას, საბოლოოდ მიიღეს მობილიზაცია, ჩაკეტული საზღვრები და დახურული საბანკო ანგარიშები, ციხე დეზერტირობისთვის. ყველაფერი ისევე გეგმის მიხედვითაა, არა? ცხოვრებას დიდი იუმორის გრძნობა აქვს, - წერს პოდოლიაკი. რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა გუშინ ქვეყანაში ნაწილობრივი მობილიზაცია გამოაცხადა.

უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა ნოვა კახოვკაში ხიდზე მიმდინარე სარემონტო სამუშაოები შეაჩერეს და სახმელრო ტექნიკის კოლონას დაარტყეს, რომელიც დნებრის გადაკვეთისთვის ემზადებოდა, - ინფორმაციას უკრაინული მედია ოპერატიულ სარდლობა „სამხრეთზე“ დაყრდნობით ავრცელებს. მათივე ცნობით, უკრაინის შეიარაღებული ძალების ავიაციამ მტრის წინააღმდეგ შვიდი დარტყმა განახორციელა, რომლის დროსაც ხერსონის ოლქში რუსების კუთვნილი „სუ-25“ ტიპის მოიერიშე თვითმფრინავი განად-

გურდა, მურახივკას რაიონში, მიკოლაივის ოლქში კი ორი Orlan-10 ტიპის საფრენი აპარატი ჩამოადგეს და ოკუპანტების მიერ საჭაერო დაზვერვის განხორციელების მცდელობები ჩაახშვეს. „სარაკეტო და საარტილერიო ნაწილებმა 210-ზე მეტი საცეცხლე ამოცანა შეასრულეს, მათ შორის ბერისლავის რაიონში მტრის სამეთაურო პუნქტზე, ძალებისა და აღჭურვილობის კონცენტრაციის ტერიტორიაზე გავრილოვკასა და ჩერნობივკას რაიონებში, დარევესკის ხიდის გასწვრივ და ნოვა კახოვკას მახლობლად პონტონის გადასასვლელზე, - აღნიშნულია ინფორმაციაში. სამხრეთის სარდლობაში აცხადებენ, რომ მოწინააღმდეგის დანაკარგი 151 სამხედრო მოსამსახურე და 40-ზე მეტი ერთეული სამხედრო ტექნიკაა, მათ შორის 7 ტანკი, 19 ჯავშანმანქანა, 4 ჰაუბიცა და 4 თვითმავალი საარტილერიო დანადგარი.

საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი და გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრი ლიზ ტრასი ნიუ-იორკში გაეროს გენერალური ასამბლეის ფარგლებში შეხვედრისას შეთანხმდნენ, რომ შეინარჩუნონ კონტაქტები უკრაინის მხარდაჭერის გასაძლიერებლად. მედიის ინფორმაციით, ლიდერებმა უკრაინაში, კერძოდ, ზაპოროჟიის ატომური ელექტროსადგურის გარშემო არსებულ სიტუაციაზე იმსჯელეს. მაკრონი და ტრასმა გლობალური ენერჯეტკულ უსაფრთხოებაზე რუსული აგრესიის გავლენა განიხილეს და კოორდინირებული და ერთიანი მიდგომის სურვილი გამოთქვეს.

უკრაინის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს მდივან ოლექსი დანილოვის შეფასებით, რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის განცხადება ნაწილობრივი მობილიზაციის შესახებ რუსების განადგურების პროგრამაა. „რაც შეეხება ბოლო განცხადებებს. პუტინის „ბერიშვილის სამეფოს“ გეგმა - ყოვლისმომცველი პროგრამა რუსების უტილიზაციისთვის: მობილიზაციისგან თავის არიდება - ციხე - კერძო სამხედრო კომპანია „გვანგერი“. შემდეგ: უკრაინული ფრონტი - ლიკვიდაცია - „თეთრი ლადა“, - წერს დანილოვი „ტვიტერზე“.

მომზადდა ნაირა ვუტკარაძემ

<p><b>მთავარი რედაქტორი</b></p> <p><b>მარიანა მითაიშვილი</b></p>	<p><b>გამომცემი რედაქტორი</b></p> <p><b>ირმა შერვაშიძე</b></p> <p><b>ლიტერატურული რედაქტორი</b></p> <p><b>ეთერ სომარიკი</b></p>	<p>რედაქცია პასუსს არ ავებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.</p> <p><b>R</b> ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.</p> <p>რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.</p>	<p><b>გამომცემი - შპს</b></p> <p>«ბანკიი აპარა ლა ალპარია»</p> <p><b>კოორდინირებული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»</b></p> <p>მის: ქ. თბილისი, ქ. პაღლაშაძის ქ. №3</p>	<p><b>მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლშვილის ქ. №2</b></p> <p><b>ტელ: 27-13-31</b></p> <p><b>აიწყო და აკაბალონა</b></p> <p><b>გაზეთი აპარისი</b> კომპ. ცენტრი</p> <p>დასაბუთავ ხელმოწერილია 21/09/22, 21 აგ. სთ.</p>	<p><b>დირექტორი</b></p> <p><b>გამუკა ბერიძე</b></p>
--	---	---	---	---	---



# „ლექსიონს გამოფენა“ – ქართული სიყვარულის დღესასწაული

ნანა აბულაძე 577 20 35 90

ამბობს, რომ სხვებისგან არაფრით გამოირჩეული, რიგითი ბათუმელია, რომელსაც გაუშვარდა და იმ მცირე გამოჩენისში მოხვდა, ვინც საკუთარი პროფესიისგან უდიდეს სიამოვნებას იღებს, აკეთებს საქმეს, რომელიც ძალიან უყვარს და სულიერ სიმშვიდეს ანიჭებს.

ჩვენი სტუმარია ლიტერატურული კონკურსის „ლექსიონს გამოფენის“ ავტორი და ხელმძღვანელი, კულტურის სფეროს მენეჯერი **ზაზა შირცხალაძე**, რომელიც წლებია, პოეზიისა და პროზის მოყვარულთათვის ბათუმში რამდენიმე დღისას-წაუღს აწყობს.

**როგორ დაიბადა ლიტერატურული კონკურსის „ლექსიონს გამოფენა“ და განვითარების რა გზა გაიარა?**

- იდეა ხელოვნების ინსტიტუტში სწავლისას გამჩინდა. მინდოდა, სახლში მომეწვია მეგობრები და მათი ნამუშევრები (ნახატები, ხელნაკეთი ნივთები, ლექსები...) ერთ სივრცეში გამოეფინა. თავიდან ამ შეხვედრისთვის მეგობრული თავშესაფარის სახის მიცემას ვაპირებდი, მაგრამ მსურველი იმდენი იყო, რომ ფართი დავიჭირავე. დროთა განმავლობაში ამ შეხვედრებმა დღეს არსებული ფორმატი მიიღო, ნამუშევრებიდან კი დარჩა მხოლოდ ლექსები, რასაც შემდგომში ზუსტად ასისტეციანი პროზაული მინიატურები დაემატა. გამოფენამ კონკურსის სახე მიიღო და ხელოვნების ინსტიტუტისა და ჩემი მეგობრების წრეს გასცდა. შემდეგ იყო პროექტის ბუნებრივი ფორმირების პროცესი - უბრალო გამოფენამ მიიღო მასშტაბური პროექტის სახე, თანდათანობით დაიხვეწა და ტრადიციები შეიქმნა. კონკურსის დაბადების თარიღია 2003 წელი. ის სამწერ ჩატარდა აჭარის მასშტაბით, 2008 წლიდან კი მთელი საქართველოს მასშტაბით იმართება და მასში აქტიურად არიან ჩართული ემიგრანტებიც. „ლექსიონს გამოფენა“, განსხვავებული და ინდივიდუალური ფორმატის გამო, დაპატენტებულია 2010 წელს.

**რა სახელები აღმოგაჩინათ ამ პროექტმა საკუთარ თავში?**

- დავრწმუნდი, რომ „ლექსიონს გამოფენის“ ღირსეულად ჩასატარებლად აუცილებელია ჩემი პირადი სიმშვიდე და პოზიტივი.

**ისტორია, რომელიც „ლექსიონს გამოფენას“ უკავშირდება და ყველაზე მეტად გაყვარდა...**

- პროექტის ფარგლებში ყოველთვის იბეჭდება ფინალური ტექსტების კრებული წიგნად. ერთ-ერთ გამოფენაზე, ფინანსების უქონლობის გამო, დაგეგმულ ფურცლებზე და, მეგობრებთან ერთად, რამდენიმე ღამე ხელით გვინდავდით „წიგნებს“. ეს კრებული დღემდე ყველაზე ძვირფასია ჩემთვის.

**ფეიქრობ, არავის ეწყინება, თუ გამოარჩევთ და გავაცნობთ ტექსტს, რომელიც „ლექსიონს გამოფენაზე“ დაიბადა და მას შემდეგ როგორც თქვენ, ასევე საზოგადოებამ შეიყვარა...**

- არასოდეს ჩავრეულვარ საკონკურსო ტექსტების განხილვაში ან შეფასებებში, ეს



იცის ყველა მონაწილემ და ყოყორის წევრმა. ეს ფაქტი გამოფენის ობიექტურობას ზრდის. ისე კი... ამ წუთს ერთი ასისტეციანი მინიატურა გამახსენდა, რომელმაც საზოგადოებას ძალიან შეაყვარა თავი. ტექსტის ავტორია ნინო გუგუშაშვილი. სხვათა შორის, წელს ქალბატონი ნინო ყოყორის წევრად და მოწვეული.

### ცაცნა

პირველ კლასში ჯერ „ძუა“-ს ნაცვლად „ხუა“ დაწერა.

მასწავლებელმა წითლად გაუხაზა, მან კი მორჩილად ბევრი „ხუა“ გააყოლა ერთ ხაზზე.

მერე წამოვიდა „თოძი“, „შეირო“, „ყო წაწვი მაგლობლი“...

კარგი ბავშვი იყო. ზღაპრებიდან უყვარდა „შიქარა“, „ნაძვარქათა-მა“, „შითელქუდა“, მულტფილებიდან - „შუნა და შრუშუნა“. ვაჟა უყვარდა - „არსივი“, „მძელი შიფელი“. ფერებიდან წავი, შითელი, მშვანე. სიმღერებიდან - „შინაშეარო“. გარეგანა ქართულის მასწავლებელს:

- გამაგებინეთ, ძეგლ-შიფემ უკვადების შუკლით ჭრილობები მოიწუწუწა თუ მოიშუშა?! - ყვიროდა, - მომაშორეთ ეს „შურბელა“!

ბავშვი კი უწყინარად წერდა:

„ქორმა შიშილა შაილო, იხაძა შიშვი-შიშვი...“

კარგი ქართული დადგა: უყვარს სამწობლო, მშვადი წამფურზე, ძინკალი, ქინხმარი, მშვანილი - შიშმატი, ძაძვი, ოძრაძუწი. გიჟდება წვილებზე, წვილიწვილებზე, ბიხაწვილებზე.

...მეუბნება ახლა უწიწროებაში, ინფორმაციას არ იხლევა.

ბაძვა ჰქვია, ძმალახვა გვარად... ნაძვამდის!

**რას ნიშნავს თქვენთვის პოეზია?**  
- პოეზია, ალბათ, ადამიანების დისტან-

ციური ურთიერთობის ყველაზე რომანტიკული გზაა.

**როგორ ფიქრობთ, რა არის ის მთავარი ნიშა, რამაც დღევანდლამდე მოიყვანა „ლექსიონს გამოფენა“?**

- მთავარი ნიშა ადამიანური ურთიერთობები და კონკურსის ობიექტურობაა.

**რა ხდის ადამიანს ყველაზე თავისუფალს და რა არის თავისუფლება თქვენთვის?**

- თავისუფლება არის ღვთისმოშიშობა, სიკეთის კეთება და ადამიანების სიყვარული.

**როგორც ვიცი, თავდაც წერთ. როგორია წერის პროცესი? გაცნაობთ ჩვენს მკითხველს თქვენი ლექსი, რომელიც ყველაზე მეტად გავთ...**

- მე თავს ხელოვნების მეგობრად ვგვლი და არა შემოქმედ ადამიანად, ისე კი... ხელოვნების დარგებიდან ჩემთან ყველაზე ახლოს მუსიკაა. ლექსს რაც შეეხება, როგორც ყველა ქართველს, რამდენიმე „თავის დროზე“ მეც შემომეწერა, ერთ-ერთია ლექსი ბათუმში, რომელიც უფრო აღსარება და სინანულია, ვიდრე პოეზია:

### ჩემი ბრალია

გბრუნდები ისევ, აჩქარებით, არ ღირდა მოცლა... თან დარდი მომაქვს

ეგუებიან ავკაცები დროის ამინდებს, აივნებიდან თვალს მიკრავენ

უცხო ქალები,

სადა მაქვს ნერვი, საკუთარ თავს თვალებს ვარიდებ, და ფიქრი მსეტყვავს ცოდვასავით

ვერტიკალებით.

ჩემი ბრალია -

დაგტოვე და ვერ გიპატრონე, შენი ბრალია -

გამიშვი და იქნებ პირიქით, აქ თითო-თითო გადარჩენილ კადრებს

ვაგროვებ

და ზღვისკენ მიმაქვს შერჩენილი ბოლო ბილიკით.

ვერ მოვისწარი, მორჩა! სადაც სიზმარში მოვხვდი, ჩემი საწყალი ქურჩა...

ჩემი ლამაზი ქოხი...

**ყო „ლექსიონს გამოფენის“ ავტორი, ნიშნავს...**

- პასუხისმგებლობის აღება იმაზე, რომ ამ პროექტის საშუალებით ბათუმში შეაყვარო ბევრ ადამიანს, ხოლო ლიტერატურის საშუალებით ადამიანები შეაყვარო ერთმანეთს.

**ყველაზე მთავარი მონაპოვარია...**

- მონაწილეების ნდობა კონკურსისადმი, ობიექტურობის განცდა და, რა თქმა უნდა,



მერამდენედ (მოჭრილი ხელის), ზღვასავით ღრმა ნუგეშით - მასწავლე, თუშეცა,

არ შემიძლია, მეშინია

თვალის გახელის. დავდივარ,

(დახლებს შორისა ახლა ქალაქი,

სახლთან ვარ თითქოს, თითქოს ვარ და სხვაგანაც მოვხვდი,

სად არის ჩემი ქურები და ჩემი ბავშვობა? სად არის ჩემი -

სასახლეზე ლამაზი ქოხი?

ადამიანური ურთიერთობები.

**მინდა მომავალში „ლექსიონს გამოფენაზე“ თქვენ...**

- რომ „ლექსიონს გამოფენა“ გრძელდებოდეს.

**დაბოლოს, რომელ პოეტთან ისურვებდით, ქვეშაზე მოდულდებულ ფინჯან ყავასთან ერთად, ბათუმის სანაპიროზე მუსაიდს...**

- ბათუმელ პოეტებთან მეგობრობით და ურთიერთობით განებოვრებული ვარ, ასე რომ, ბათუმის სანაპიროზე, ქვეშაზე მოდულდებულ ყავაზე სიამოვნებით დავბატონდები რომელიმე ემიგრანტ პოეტს. ამ გზით „ჩამოვიტყუებდი“ და მინიმუმ ერთ შვილს დავუბრუნებდი საქართველოს.

# ევროპული ბარემო შავიზღვისპირეთში და ფოტობრაფი, როგორც მშობლიურ სოფელს ახალი სისოხლე აჩუქა

ლარინა ბაბაიძე 27 48 93

**მარია ზოიძე** ფოტოგრაფია, განათლება უცხოეთში მიიღო, კერძოდ, საბერძნეთის დედაქალაქ ათენში. მან შავიზღვისპირეთის სანაპირო ზოლში არსებული ერთი ჩვეულებრივი სოფელი ეკოლოგიურად სუფთა და ევროპულ დასახლებად აქცია. შეუძლებელია, გზად ჩაიარო და თვალთახედვას ბუქნარის სიმწვანე და ფერები გამოეპაროს. მარიამ თანასოფლელები შემოიკრიბა და ასე დაიწყო ერთობლივი აქტივიზმი.

**როდის და რატომ დაგებადათ სოფლის გამწვანება-მოწყობის იდეა?**

- პანდემიამდე ძალიან რთული განრიგი მქონდა, თუმცა მუდამ სევდას მგვრიდა დანაგვიანებული, მიტოვებული გარემო. მეც, სავარაუდოდ, ველოდებოდი „მხსნელის“ გამოჩენას და ყველა პრობლემის აღმოფხვრას, მაგრამ დრო გადიოდა, პრობლემა კი რჩებოდა. როცა საკუთარი ეზოს გამწვანებას მოგჩი, შემდეგ გამჩინდა იდეა, ჩემს სოფელზე მეზრუნა.

**ერთი იდეის ირგვლივ ამდენი განსხვავებული ადამიანის გაერთიანება როგორ შეძელით?**



- ბევრი მცდელობის შემდეგ მივხვდი - რომ არა სოფლის მოსახლეობა, სხვაგვარად პრობლემის აღმოფხვრა შეუძლებელი გახდებოდა. გუნდურობამ, მეგობრობამ და კარგმა მენეჯმენტმა აჩვენა, რომ ყველაფერი ჩვენს ხელშია.

**რა ცვლილებებია ბუქნარში?**

- ყველაზე მნიშვნელოვანი, ჩემი აზრით, ისაა, რომ დღეს ყველა თბილად ვესალმებით ერთმანეთს, რადგან ერთმანეთი გავიცანით, გმეგობრობთ. ფეხით მოსიარულეს ავტომობილით გადაადგილებას ვთავაზობთ. დავრგეთ 80 ძირი პალმა, სხვადასხვა მცენარე, ხილი. შევღებეთ და მცენარეებით მოვრთეთ სოფლის სამი გაჩერება, დავასუფთავეთ ტერიტორია. სოფლის ცენტრში განვთავსეთ განათებული აბრა წარწერით „ბუქნარი“. გავაკეთეთ ჩიტის სახლები, დავდგეთ ველოსიპედები, მოვაწყვეთ ღია ბიბლიოთეკა ბავშვებისთვის: „აიღე, წაიკითხე, დააბრუნე“ დევიზით, რამაც საოცრად კარგად იმუშავა. სოფლის დალაქს გავურემონტეთ სალონი და ალგუტრევეთ სასურველი ინვენტარი. დავალაგეთ სანაპირო ზოლი, განვთავსეთ საქანელი, რომელიც პირველია აჭარაში.

**რას ურჩევთ სხვა სოფლების მოსახლეობას, განსაკუთრებით - ახალგაზრდებს?**

- ჩემი რჩევაა, მიანიჭონ ყველაზე დიდი უპირატესობა ადამიანობას, გარემოს. მადლიერებმა, მეგობრობა და პატივისცემა ყველგან მუშაობს.

**რა გეგმები გაქვთ?**

- ვაპირებ ღია კინოთეატრისა და ბიბ-

ლიოთეკის გაკეთებას. საკუთარ ეზოში უკვე გავხსენი ფოტოსტუდია „ჟორანჟერა“, რომელიც კარგ და სასიამოვნო ცვლილებას მოუტანს სოფელს.

